ქ. ბათუმი N----- 30.10.-01.11 2014 წ.

ბათუმის წყალბურთის კლუბ „ბათუმი“-ს დირექტორის ასტამურ ჩაუშბას სახით (შემდგომში „დამკვეთი“) ერთის მხრივ და ფიზ.პირი ბორის ლაბაძე (შემდგომში „შემსრულებელი“) მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას „დამკვეთისთვის“ შეასრულოს სატრანსპორტო მომსახურება: საკუთარი ტრანსპორტით მარკა - მერსედეს ბენცი სპრინტერი, WDB90346332P861291 სახელმწიფო N QRQ-511 მგზავრობა (ბათუმი-თბილისი-ბათუმი) შდა ტრანსპორტირებით აჭარის ნაკრებისთვის, ხოლო „დამკვეთი“ იღებს ვალდებულებას, მიიღოს შესრულებული სამუშაო (მომსახურება) და გადაიხადოს მისი ღრებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

2. მომსახურების შესაბამისობა

2.1. „შემსრულებლის“ მიერ შესრულებული მომსახურების ხარისხობრივი და სხვა ყველა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ასეთი მომსახურებისადმი ზოგადად წაყენებულ სტანდარტებს და „დამკვეთის“ მოთხოვნებს.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, „შემსრულებლის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოს (მომსახურების) მთლიანი ღირებულება შეადგენს(—— 500) ლარს.

3.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადები იმ გათვლით, რომ შემსრულებელმა ხელზე აიღოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაზღვრული თანხა.

3.4. "დამკვეთი", "შემსრულებელთან" ანგარიშსწორებას ახორციელებს სამუშაოს (მომსახურების) ფაქტობრივად შესრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.;

4. მომსახურების მიწოდების და მიღება–ჩაბარების წესი

4.1 "დაკვეთი" სამუშაოს (მომსახურებას) მიიღებს საკუთარი მისამართის მიხედვით.

4.2. „შემსრულებლის“ მიერ შესრულებული სამუშაო (მომსახურება) მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "შემსრულებელი" ვალდებულია:

5.1.1. ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები შეასრულოს ჯეროვნად და სათანადო გულმოდგინეობით;

5.1.2. ხელშეკრულების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით.

5.2. "დამკვეთი" ვალდებულია:

5.2.1. ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით;

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილიბები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა.

6.2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე; ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედება იწყება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

8.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედებისას ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკების გზით; იმ შემთხვევაში, თუ კონსესუსი არ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.6. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, და ინახება მხარეებთან.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამკვეთი"	*„შემსრულებელი"*
	მის: ბათუმი ა.წერეთელის ქ №16 ბ.10
ბათუმის წყალბურთელთა კლუბი ბათუმის	პირადი №61001003629
დირექტორი: ასტამურ ჩაუშბა	ბორის ლაბაძე